

საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარება

ანუ როგორი „ვაჭარია“ საქართველო?

მარიამ მეზვრიშვილი, მარიამ სეთაშვილი, ნინო მუჯირიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის, მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამა: მენეჯმენტი

სამაგისტრო პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი ისაკაძე - (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი)



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2018

სარჩევი

შესავალი	1
ლიტერატურის მიმოხილვა	5
საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზოგადი მიმოხილვა და განვითარების ეტაპები ...	9
თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობა	10
საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული რეფორმები.....	12
წარმოშობის სერთიფიკატები.....	14
ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ....	17
დასრულებული/მიმდინარე მოლაპარაკებები.....	18
მეთოდოლოგია.....	37
თვისობრივი კვლევის შედეგები.....	38
რაოდენობრივი კვლევის შედეგები.....	58
დასკვა და რეკომენდაციები.....	61
ბიბლიოგრაფია.....	64
დანართი 1.....	66
დანართი 2	67
აბრევიატურის ჩამონათვალი.....	73

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წყაროების შესაბამისად.

მარიამ მეზვრიშვილი

მარიამ სეთაშვილი

ნინო მუჯირიშვილი

18/06/2018

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადება შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი ხელმძღვანელის, ბატონი გიორგი ისაკაძის დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე. მან პირველ რიგში უდიდესი დახმარება გაგვიწია ნაშრომის სწორი მიმართულებით განვითარებაში. იგი მუდამ გვაძლევდა მნიშვნელოვან რეკომენდაციებსა და პროფესიონალურ რჩევებს. იგი მუდამ გვერდში გვედგა და ყველაფერთან ერთად, ადამიანური მხარდაჭერისთვისაც გვინდა დიდი მადლობა ვუთხრათ.

მადლობა გვინდა ვუთხრათ ბატონ გიორგი აბაშიშვილს, ირაკლი ღვალაძეს, გიორგი ქადაგიძეს, ბესო ნამჩავაძეს, ქალბატონ ნათია თურნავას ჩვენს კვლევაში მონაწილეობასა და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის.

აბსტრაქტი

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს საგარეო ვაჭობის განვითარება, როგორი ვაჭარია საქართველო? რა ფაქტორები განაპირობებს ქვეყნის როგორც მოვაჭრის წარმატება წარუმატებლობას. წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს სავაჭრო და ეკონომიკური განვითარება. სახელმწიფო და საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციებს როლი, უკვე განხორციელებული და მომავალში განსახორციელებელი პროექტები ქვეყნის მიმდინარე და სამომავლო განვითარების პერსპექტივები. კვლევის მეთოდად გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი ასევე თვისებრივი მეთოდი, რომლის ანალიზი დაგვეხმარება

შესაბამისი დასკვნების გაკეთებასა და სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრაში ნაშრომი შედგება რამდენიმე ნაწილისგან : მიმოვიხილავთ ქვეყნის ეკონომიკურ და სავაჭრო მდგომარეობას ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობის პერიოდში, ხოლო ძირითადი ნაწილი ეთმობა 2016-2017-2018 წლების სავაჭრო სტატისტიკის ანალიზს. უარყოფითი სალდოს მიმოხილვას და მიზეზების დადგენას. ასევე ქვეყნის მიერ სავაჭრო სფეროში განხორციელებულ და განსახორციელებელ პროექტებს.

ნაშრომში განმარტებულია თუ რამდენად მნიშვნელოვანია ვაჭრობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკისათვის . წარმოჩენილია ქვეყნის პოტენციალი საგარეო ვაჭრობის სფეროში, განხილულია ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები და ხელსაყრელი ბაზრები. ყურადღება გამახვილებულია მსოფლიოში არსებული ქვეყნების მაგალითზე, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ქვეყანამ წარმატებას ამ დარგში.

კვლევის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ რომ ძირითადი ნაბიჯები ჩვენს ქვეყანას გადადგმული აქვს სავაჭრო განვითარების მხრივ, სწორი თანმიმდევრული პოლიტიკით საქართველოს აქვს შანსი და შესაძლებლობა გახდეს რეგიონში ერთ ერთი წარმატებული ქვეყანა მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო თუ იქნება სახელმწიფო ასევე მსოფლიო ეკონომიკური ორგანიზაციების ხელშეწყობა.

abstract

The subject of our research is the development of foreign trade in Georgia, what kind of merchant is Georgia, which factors provide the success or the failure of the country as a trader?

Development of Georgian trade and economics is discussed in the present work. Also, The role of the state and international trade organizations; Already implemented and future projects; current and future development perspectives of the country. As a method of the research is used quantitative and qualitative method as well, which analysis will help us to make relevant conclusions and to determine future perspectives.

The work consists of several parts: we will review economic & trade situation of the country in the newly independent period;

the main part of work is given to:

- trade statistics analysis of 2016-2017-2018 years’;
- Review the negative balance of payment and identification the reasons of it;
- Future and implemented projects by the country in trading.

The work explains the importance of the trade development for the country economics; potential of the country is introduced in a field of foreign trade; also we can see the review of important trade partners and profitable markets for the country; The focus is on the example of countries around the world how to achieve success in this field.

Based on research analysis we can say that the basic steps taken by our country is in terms of trade development. If the state and also world economic organizations promote Georgia, it has the chance and potential to become one of the most successful countries in the region

because of its geographical location and it will happen with the help of right and sequential policy.

შესავალი

ვაჭრობა, ეს არის საქმიანობის სფერო, რომელიც ხორციელდება რაიმე ღირებულის ყიდვა-გაყიდვით. ღირებულება შეიძლება იყოს: საქონელი, მიმსახურება, ინფორმაცია, ფული ან საერთოდ სხვა რამე.¹

ვაჭრობაში მონაწილეობას შეიძლება იღებდნენ: ადამიანები, ადამიანთა ჯგუფები, სახელმწიფოები, ფირმები და ა.შ.

ვაჭრობა ორი სახისაა საშინაო და საგარეო. საშინაოა როდესაც ქვეყნის შიგნით ხდება ვაჭრობა. საგარეოა სხვადასხვა ქვეყნებთან ვაჭრობა.

ვაჭრობის წარმოშობა უკავშირდება კაპიტალის ზმის განვითარებას, საზოგადოების დანაწილებას, კერძო საკუთრების წარმოქმნას.

ვაჭრობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობებში. ზოგიერთი მეცნიერი კი ვაჭრობა და ომს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს

საერთაშორისო ვაჭრობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნებს შორის ურთიერთობების განვითარებისთვის, ვინაიდან მისით იქმნება კავშირები, იგი მშვიდობის

¹

ვიკიპედია. (2013). *კომერცია*.